ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

СССР — СОЮЗ СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

СССР — UNION OF SOVIET SOCIALIST REPUBLICS

ГРУЗИНСКАЯ ССР — ГРУЗИНСКАЯ СОВЕТСКАЯ СОЦИАЛИСТИЧЕСКАЯ РЕСПУБЛИКА

ГРУЗИНСКАЯ ССР — ГРУЗИНСКАЯ СОВЕТСКАЯ СОЦИАЛИСТИЧЕСКАЯ РЕСПУБЛИКА

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ГАЗЕТА ОСНОВАНА 1920 ГОДА 3 ИЮНЯ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 45 (19487) ◆ შაბათი, 22 თებერვალი, 1986 წ. ◆ ფასი 3 კაპ.

ლენინური პარტიის სახელით

კრემლში დაიწყო სკკპ XXVII ყრილობის დელეგატთა რეგისტრაცია

მოსკოვი ეგებება დელეგატებს, რომლებიც რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების პარტიულმა ორგანიზაციებმა მოავლინეს საბჭოეთის კომუნისტთა ფორუმზე. 21 თებერვალს კრემლის დიდ სასახლეში დაიწყო სკკპ XXVII ყრილობის დელეგატთა რეგისტრაცია.

დილის 10 საათია. კრემლის მოავარ მოედანზე აფრიალდა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების დროშები. კურანტების ხმაზე გაიღო გიორგის დარბაზის კარი. დარბაზში პირველნი შედიან მორდვეთის ასსრ რესპუბლიკის დელეგაციის წევრები — ჩქარი მატარებელი სარანსკიდან ეს-ეს არის ჩამოვიდა მოსკოვში.

მთელ დარბაზში გამწკრივებულია სარეგისტრაციო მაგიდები. მათს ფირნიშებზე ჩვენი სამშობლოს მთელი გეოგრაფიაა.

უნებლიედ გეუფლება აღელვება, როდესაც ფეხს შედგამ გიორგის დარბაზში, წმინდა ადგილას, რომელიც რუსეთის ისტორიის დიდებით არის მოსილი. მაგრამ დღევანდელი მღელვარება სულ სხვაა. ღელავენ ეროვნალისტებიც, რომლებიც აქ მოსულან ყრილობაზე პირველ წარმოგზავნილთა შესახვედრად. ვისით დავიწყოთ პირველი საყრილობო რეპორტაჟი? მივდიოთ ახალგაზრდა სანდომიან ქალთან და ვთხოვთ ჩაგვახედოს თავის ანკეტაში. ზინაიდა ივანეს ასული დუდენკოვა. სარანსკის „შუქტექნიკის“ გაერთიანების მინის მჭრელი. პარტიული ყრილობის დელეგატად პირველად არის არჩეული.

— რა გრძნობა გეუფლებათ საყრილობო მოსკოვთან შეხვედრისას?

— ყველაფერს მოკლედ ვერც ვამბობ, მაგრამ, მთავარი, რა თქმა უნდა, ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობის - გრძნობა. მე, რიგითს კომუნისტს, უბრალო მუშას ლენინური პარტიის სახელით დამეფალა ყრილობის სხვა დელეგატებთან ერთად გადავწყვიტო ჩვენი ქვეყნის მომავლის მთავარი საკითხები.

ზინაიდა გუდენკოვას ბიოგრაფიაში არის ორი მთავარი ათვლის წერტილი: ლუმინენსცენციური სანათი მილაკების გამოშვების თექვსმეტი წლის სამუშაო სტაჟი და პარტიის წევრობის ცამეტი წლის სტაჟი.

— მიყვარს ჩემი სამუშაო. ჩვენებურ მილაკებს ყოველ საღამოს ანთებს მთელი ქვეყანა, კამჩატკიდან ბალტიისპირეთამდე. მაშასადამე, საჭიროა ისინი მეტი გვქონდეს.

სულ თორმეტ საათს უნდება მატარებელი სარანსკიდან მოსკოვამდე. მაგრამ სწორედ მუშაკების მოვალეობისადმი სათუთმა დამოკიდებულებამ დაამეგობრა ამ საათებში ზინაიდა გუდენკოვა და კოლმეურნეობა „ილიჩის ანდერძის“ მწველავი ანტონინა ლუტონინა. მთელი ღამე საუბარში გაატარეს.

— მახსოვს, — თქვა ა. ლუტონინამ, — რაოდენ დიდი გზნებით განვიხილავდით ფერმაში პარტიის საყრილობო დოკუმენტებს. დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პარტჯგუფის როლს. აქ კი სწორედ მის მებრძოლურობაზეა დამოკიდებული მშრომელი კოლექტივის წარმატება.

თითქმის ასი მუშაკია სახელმოხვეჭილი კუზბასელი, მაღარიელის ორგზის სოციალისტური შრომის გმირის ი. ი. დროზდეცკის კომპლექსურ მუშახტეთა ბრიგადაში. და ყველას შეუძლია წინანდელზე უკეთ იმუშაოს. — ასე მიანია ძველ მეშახტეს.

— თუმცა იანვარში უკეთ ვიმუშავეთ, ვიდრე ოდესმე, გული მიგრძნობს: მაინც არ მიგვიცია ქვეყნისათვის ყველაფერი, რისი მიცემაც შეგვეძლო, — ამბობს ი. ი. დროზდეცკი. — ქვანახშირის კონვეიერზე ჯერ კიდევ გვაქვს სუსტი რგოლები.

საუბარი შეგვაწყვეტინეს. ჩვენს თანამოსაუბრესა და კემეროვოს საოლქო პარტიული ორგანიზაციის სხვა წარმოგზავნილებს გადასცემენ სკკპ XXVII ყრილობის დელეგატის დროებით მოწმობებს და სამკერდე ნიშნებს და ეს საზეიმო მომენტი მყისვე ხდება სამუშაო მომენტი: კრემლის გიორგის დარბაზში წინასწარ შეუთანხმებლად განაგრძეს ადრე დაწყებული საქმიანი საუბარი მოწინავე მეშახტემ და გზათა მინისტრმა ნ. ს. კონარევმა — დელეგატმა, რომელიც ყრილობაზე კემეროვოს ოლქის კომუნისტებმა აირჩიეს.

აეროპორტებიდან, მოსკოვის ვაგზლებიდან კრემლს აცნობებენ: ჩამოვიდნენ კოჩეტავის ოლქის, მარეთისა და ტუვის ავტონომიური რესპუბლიკების კომუნისტთა წარმოგზავნილები. სადაცაა, ჩამოვლენ დაჩამოფრინდებიან სხვა დელეგაციებიც.

პირველი შეხვედრები დედაქალაქში, პირველი ნაცნობობა, სკა-ბასი თითოეული საბჭოთა კომუნისტისათვის უმთავრესის შესახებ; სამშობლოს შემდგომი აყვავების სასიცოცხლოდ, მშრომელი ადამიანების საბედნიეროდ, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრების საკეთილდღეოდ აღმშენებლობითი მუშაობის შესახებ.

სასახლის მაღალი სარკმლების მიღმა დღემ იმძლავრა. საყრილობო მოსკოვს, კრემლს მოახლოებული გაზაფხულის მზის ათინათი დასთამაშებს.

ბ. გრიშჩენკო,
ნ. ჟელეზნოვი,
(საკდეხის სპეც. კორ.).

სამს მოყვარე მოყვრისათვის!

ობილისი, ბაკო და ერევანი, რა კარგი თქმაა, რა დიდებული... — პოეტისა არ იყოს, მართლაც როგორ ციხარტველას ავით ანათებს ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხების გულნათელი მეგობრობა, ახლ ღრმად რომ აქვს ფესვები გადგმული ისტორიულ წარსულში და სულ უფრო მტკიცდება და მკვიდრდება.

როგორ საოცრად ეგავს ერთმანეთს ეროვნული თვითშენარჩუნებისათვის უცსოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ამ მოძმე ხალხების ოცვანწირული ბრძოლებით აღსავსე წარსული და მათი ნათელი დღევანდელობა, რომელიც თითქმის ერთდროულად გააცისკროვნა დიდმა ოქტომბერმა. აქედან მოყოლებული კიდევ უფრო განმტკიცდა, ახალ-ახალი ფორმებით გამდიდრდა ეს ძმობა და მეგობრობა. ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით შეძლეს მათ დაელაშქრათ კომუნისტური შენებლობის ახალი მწვერვალები, უზრუნველეყოთ მშობლიური მხარის საოცარი სოციალურ-ეკონომიკური წინსვლა.

ყველასათვის კარგად არის ცნობილი საბჭოთა საქართველოს მშრომელთა მიერ ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა დარგში, სფეროში, უბანზე ამ ბოლო თუთმეტი წლის და, კერძოდ, მეთორმეტე ხუთწლედის მანძილზე მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებანი. განვლილ ხუთწლედში რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა აითვისეს 35 დასახელების ახალი სამრეწველო პროდუქციის, მათ შორის 9 ათასი კილოვატსაათიანი ელმავლების — ელ-15 ელმავლის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების დიზელის ავტოსაწევარ-ყველგანმავალის, ნყალქვეშა ფრთიანი ნომალდებისა და სხვათა წარმოება. წარმატებანია სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე...

საბჭოთა აზერბაიჯანის ინდუსტრია ახლა ორ დღეზე ნაკლებ დროში უფრო მეტ პროდუქციას უშვებს, ვიდრე ამზადებდა მთლიანად 1920 წელს — საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების წლის მანძილზე. ყრილობიდან ყრილობამდე 26,5 პროცენტით გაიზარდა ეროვნული შემოსავალი, რაც კავშირში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია.

წლეულს საბჭოთა ნომხეთის ხელოვნედ მეათედ და სამუდამოდ გადაეცა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებში გამარჯვებულის გარდამავალი წითელი დროშა. ხუთწლედის მანძილზე იქ 33,3 პროცენტით გაიზარდა წარმოების მოცულობა. განხორციელდა ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის 37 ათასი ღონისძიება.

მოძმე ხალხების ასეთი შესანიშნავი წარმატებების, წინსვლის ამსახველ ბევრ სასიხარულო ფაქტს გაეცნობა მკითხველი „კომუნისტის“ დღევანდელი ეროვნული პუბლიკაციით „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!“ იგი კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ მტკიცდება ამ ხალხების საუკუნოვანი მეგობრობა, რომლის სათავეებთანაც იდგნენ და დგანან ერის საუკეთესო შვილები.

**ამ ურყევი მეგობრობის დადასტურება იყო თუნდაც გამოჩენილი აზერბაიჯანელი მოაზროვნის, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის მირზა ფათალი ახუნდოვისა და თვალსაჩინო ნომეხი ხელოვნის
აპან ტერიანის იუბილეები, რომლებიც მათ ღრმად ინტერნაციონალური შემოქმედების დიდი პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად ასე ფართოდ აღინიშნა საქართველოში. ამის დამადასტურებელია ამ რესპუბლიკათა ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლების ტრადიციული შეხვედრებიც წითელ ნიდიან და, საერთოდ, ჩვენი ხალხების ყოველდღიური ცხოვრება.**

დ, უწინარესად, სწორედ ამ ძმობის, ურღვევი მეგობრობის, დღენიადაგ ერთმანეთის თანადგომისა და უანგარო დახმარების შედეგია არის, რომ ჩვენ რესპუბლიკების მშრომელები ასე წელგამართულნი ეგებებიან პარტიის მორიგ, XXVII ყრილობას, მზად არიან იმ სერიოზული ამოცანების წარმატებული გადაწყვეტისათვის, რომლებსაც იგი დაგვისახავს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მორიგ სხდომაზე დაამტკიცა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლებისა და 1986 წლისათვის რესპუბლიკის მშრომელთა მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

განისაზღვრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნების, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად რესპუბლიკაში დისციპლინის განმტკიცების პროცესების მართვის სისტემატიზაციის ღონისძიებანი.

მოისმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების ინფორმაცია რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის გაგზავნილ მშრომელთა წერილებზე მუშაობის მდგომარეობის შესახებ. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებს, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაავალა განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი, რათა დროულად და ხარისხიანად განიხილონ მშრომელთა მიმართვები სკკპ XXVII ყრილობისა და რესპუბლიკის კომპარტიის XXVII ყრილობისადმი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს აქტივის სამუშაო თათბირის შედეგები, რომელიც მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად მუშაობის დონის ამაღლების ამოცანებს. საქართველოს კომპარტიის რაიონულ, საქალაქო კომიტეტებს დაევალათ შეისწავლონ საქმის ვითარება მათს ტერიტორიიზე მდებარე სამინისტროს საწარმოებში. შეიმუშაონ და განახორციელონ ტვირთზიდვის, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის პროდუქტების ტრანსპორტირების ორგანიზაციაში არსებული ნეგატიური მოვლენების აღკვეთის ღონისძიებათა კომპლექსი. გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობის დაყენების საქმეში ავტოტრანსპორტის საწარმოებიადმი პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა.

განიხილა რა აჭარის ასს რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში პირუტყვის გამოზამთრების მიმდინარეობის საკითხი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამ მიმართულებით პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნო და დასახა ნაკლოვანებათა აღმოფხვრის პრაქტიკული ღონისძიებანი. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

შეაჯამეს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1985 წლის სახელმწიფო გეგმისა და მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმოების 31-კილომეტრიან მონაკვეთზე — სამინისტროს ბათმის მერვე საგზაო სამმართველო, ლანჩხუთის მეექვსე სამშენებლო უბანი და ამბროლაურის მეათე საგზაო სამშენებლო სამმართველო. აქტივის კრებაზე ცაგერის საგზაო სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს კოლექტივის სახელითაც გამოითქვა სურვილი მონაწილეობა მიიღოს ამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, საშვილიშვილო საქმეში.

რეკონსტრუქცია, რომელიც წლეულს დაიწყება, არ იქნება იოლი. გზის ამ მონაკვეთზე მუშაობა მხოლოდ მაის-ოქტომბრის პეროდში შეიძლება. წლის დანარჩენ დროს კი აქ თოვლისა და ზვავების სამეფოა.

შეიძლება იკითხოთ, 52-კილომეტრიან გზის რეკონსტრუქციას 4 წელი რად უნდათ? სწორია, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სამუშაოების მიმდინარეობასთან ერთად გზამაც უნდა იმოქმედოს — ოთხი წლის განმავლობაში ბახმაროს ვერ მოეწყვეტთ ქვეყანას.

მშენებლებს უკვე გადაეცათ ტექნიკური საშუალებები, ეუცილებელი მექანიზმები, მშენებლობის მონაწილე ყველა რაიონში შექმნილია სპეციალური შტაბები, რომლებიც ოპერატიულად გადაწყვეტენ წამოჭრილ საკითხებს.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ა. ანდრონიკაშვილი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ი. ქედიშვილი. (**„კომუნისტის“ კორ.**).

ᲒᲐᲮᲛᲐᲠᲝᲡᲐᲙᲔᲜ — ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲒᲖᲘᲗ

წარმატებას, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობამ მიაღწია შარშან და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედში, მნიშვნელოვანი წვლილი შემატეს საგზაო ორგანიზაციებმა, საავტომობილო გზების სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოების კოლექტივებმა. დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით, შარშანდელი გეგმა 112 პროცენტით, ხოლო მკვრივი საფარიანი საავტომობილო გზების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალება 158 პროცენტით შესრულდა. დიდი გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ძირითადი ფონდების ამოქმედების, კაპიტალური მშენებლობისა და შეკეთების, კაპიტალური დაბანდების ათვისების გეგმები. ასევე ხელშესახებია ეს მაჩვენებლები მთლიანად ხუთწლედის მიხედვითაც.

ყველაფერი ეს თქვა გუშინ, 21 თებერვალს გამართულ **საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე**, რომელზეც მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის საავტომობილო გზების მინისტრმა ბ. სარალიძემ. მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა გააანალიზეს მეთერთმეტე ხუთწლედში მიღწეული შედეგები და დასახეს ღონისძიებანი მიმდინარე წლისა და, მთლიანად, მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა უთუო შესრულებისათვის.

დიდი მოცულობის სამუშაოები უნდა შეასრულონ საავტომობილო გზების სამინისტროს კოლექტივებმა სსრ კავშირის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტიდან გამომდინარე ამოცანებისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

სამინისტროს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე

კომიტეტმა მიიღო დადგენილება ეურორტ ბახმაროს განვითარების თაობაზე. ამის შესაბამისად საავტომობილო გზების სამინისტროს დავალებული აქვს უზრუნველყოს ეს დიდებული კურორტი სრულფასოვანი გზით.

საავტომობილო გზების მინისტრმა ბ. სარალიძემ აქტივის კრებაზე ამ გზის მშენებლობა დამკვრელურად გამოაცხადა და პირობა დადო, რომ პარტიის ეს დავალება ღირსეულად შესრულდება. 1989 წლისათვის ბახმაროს სწორედ რომ სრულფასოვანი რეკონსტრუირებული გზა ექნება. ამას კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული თანხიდან 8 მილიონი მანეთი მოხმარდება. ჩოხატაურ-ბახმაროს გზის საერთო სიგრძე 52 კილომეტრია. მის რეკონსტრუქციაზე დასავლეთ საქართველოს სამშენებლო სამმართველოები იშრომენენ. 21 კილომეტრი სიგრძის ძირითადი მონაკვეთის — ჩოხატაურ-ნაბეღლავის მშენებლობაზე დასაქმდებიან მახარაძის საგზაო-საექსპლოატაციო და ჩოხატაურის საგზაო-საწარმოო უბნები, ხოლო ნაბეღლავ-ბახმაროს 31-კილომეტრიან მონაკვეთზე — სამინისტროს ბათმის მერვე საგზაო სამმართველო, ლანჩხუთის მეექვსე სამშენებლო უბანი და ამბროლაურის მეათე საგზაო სამშენებლო სამმართველო. აქტივის კრებაზე ცაგერის საგზაო სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს კოლექტივის სახელითაც გამოითქვა სურვილი მონაწილეობა მიიღოს ამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, საშვილიშვილო საქმეში.

რეკონსტრუქცია, რომელიც წლეულს დაიწყება, არ იქნება იოლი. გზის ამ მონაკვეთზე მუშაობა მხოლოდ მაის-ოქტომბრის პეროდში შეიძლება. წლის დანარჩენ დროს კი აქ თოვლისა და ზვავების სამეფოა.

შეიძლება იკითხოთ, 52-კილომეტრიან გზის რეკონსტრუქციას 4 წელი რად უნდათ? სწორია, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სამუშაოების მიმდინარეობასთან ერთად გზამაც უნდა იმოქმედოს — ოთხი წლის განმავლობაში ბახმაროს ვერ მოეწყვეტთ ქვეყანას.

მშენებლებს უკვე გადაეცათ ტექნიკური საშუალებები, ეუცილებელი მექანიზმები, მშენებლობის მონაწილე ყველა რაიონში შექმნილია სპეციალური შტაბები, რომლებიც ოპერატიულად გადაწყვეტენ წამოჭრილ საკითხებს.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ა. ანდრონიკაშვილი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ი. ქედიშვილი. (**„კომუნისტის“ კორ.**).

ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ზრდის საქმიანობაში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და აღმშრდელობითს მუშაობაში შრომის ვეტერანთა მონაწილეობის შესაძლებლობათა გაფართოება დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის საქმეა, ხაზგასმულია სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში.

როგორ შევუნარჩუნოთ შრომის ვეტერანებსა და ინვალიდებს სოციალური აქტიურობა, გავუხანგრძლეოთ შრომითი საქმიანობა, სიცოცხლე! ეს საკითხები იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გამართული რესპუბლიკური თათბირის ყურადღების ცენტრში. მისმა მონაწილეებმა განიხილეს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში პენსიონერებისა და ინვალიდების შემდგომი ჩაბმის, მარტოხელა ხნიერ მოქალაქეთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ო. ე. ჩერქეზიამ.

თათბირზე გამოვიდა სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მ. მ. კრავჩენკო.

— დღეს ქვეყნის ყოველი მეხუთე მცხოვრები იღებს პენსიას, აღინიშნა თათბირზე.—პროგნოზებით 2000 წლისათვის საპენსიო ასაკის ადამიანთა რიცხვი 70 მილიონს მიაღწევს, ხოლო პენსიისა და დახმარების მიმღებთა რიცხვი — 80 მილიონს. იცვლება მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურაც: ასაკის მიხედვით პენსიონერთა რიცხვის ზრდის ტემპი განსაზღვრავს მთლიანად მოსახლეობის ზრდის ტემპს. ამრიგად მიმდინარეობს მოსახლეობის საერთო შემადგენლობაში ხნიერი ადამიანების წილის გადიდების პროცესი. ეს კი შრომითი რესურსების დამატებითი წყაროების დიდი რეზერვია.

საქართველოში ყოველწლიურად პენსიაზე გადის დაახლოებით 60 ათასი კაცი. ამათგან ნახევარზე მეტს სურს განაგრძოს მუშაობა. ახლა რესპუბლიკის მრეწველობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, სამმართველო აპარატში დასაქმებულია პენსიონერთა 52 პროცენტი. ეს ქვეყანაში საუკეთესო მაჩვენებელია.

მაგრამ პენსიონერთა და ინვალიდთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების ორგანიზაციის საკითხებში რესპუბლიკას ჯერ კიდევ ბევრი გადასაჭრელი პრობლემა აქვს, ზოგჯერ კი სერიოზული ნაკლოვანებანიც. ყველა ქალაქსა და რაიონში როდი ეკიდებიან აქტიურად პენსიონერთა და ინვალიდთა შრომითს მოწყობას. სხვაგვარად რით აიხსნება ის ფაქტი, რომ მრავალ საწარმოსა და ორგანიზაციაში არ სრულდება მთავრობის დადგენილება იმის შესახებ, რომ პენსიონერებისა და ინვალიდებისათვის დაიჯავშნოს სამუშაო ადგილების დაახლოებით ორი პროცენტი? არ არის მათთვის პროფესიებისა და თანამდებობის ნუსხა. ამის შედეგად მთელ რიგ რაიონებში საზოგადოებრივ წარმოებაში, ჩაბმულია პენსიონერთა მხოლოდ 26-40 პროცენტი. მარტო საქართველოს დედაქალაქში არ მუშაობს სამი ათასზე მეტი III ჯგუფის ინვალიდი.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არასრული სამუშაო დროის რეჟიმისა და შინაწარმოების სახეობათა ფართო გამოყენებას.

სხვათა შორის, აქამდე არ შესრულებულა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ შეიქმნას სპეციალური საწარმოები, საამქროები და უბნები შრომის ინვალიდებისა და პენსიონერების შრომის გამოსაყენებლად.

უპირველეს ამოცანათა შორის თათბირზე დაასახელეს ის, რომ საჭიროა განვახორციელოთ გადაულებელი კონკრეტული ღონისძიებანი, რათა დახმარება გავუწოოთ მარტოხელა შრომისუუნარო ხნიერ მოქალაქეებს, გავაძლიეროთ მუშაობა პენსიონერებისა და ინვალიდების სამედიცინო-სოციალური რეაბილიტაციისათვის და ა. შ. (**საქინფორმი**).

მოსკოვში, ყრილობაზე

21 თებერვალს დილით სპეციალური რეისით „თბილისი-მოსკოვი“ სკკპ XXVII ყრილობაზე გაემგზავრნენ დელეგატები საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან.

იმათ შორის, ვისაც წილად ხვდა დიდი პატივი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში უმაღლეს პარტიულ ფორუმზე რესპუბლიკის კომუნისტებს წარმომადგენლობდეს, არიან მუშები და კოლმეურნეები, წარმოების მეთაურები, თვალსაჩინო მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები. სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ამ ადამიანებმა მოსკოვში წაიღეს რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის კოლექტიური პატაკი საბჭოთა საქართველოს წარმატებების, კომუნისტურ მშენებლობაში მისი მიღწევების შესახებ.

საქმიანი განწყობილებით, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსენი გაემართნენ ყრილობაზე ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტთა წარგზავნილები, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იმუშაონ პარტიის დიდი მოთხოვნების სულისკვეთებით, მთელი თავიანთი ძალ-ღონე, ცოდნა და გამოცდილება მოახმარონ ალმშენებლობის დიდებული გეგმების განხორციელებას.

იმავე დღეს სკკპ XXVII ყრილობის დელეგატები საქართველოს პარტიული ორგანიზაციისაგან მოსკოვში ჩავიდნენ. ნაშუადღევს მათ გაეარეს რეგისტრაცია კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში. (**საქინფორმი**).

სურათებზე: საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა საქართველოს პარტიული ორგანიზაციისაგან არჩეულ სკკპ XXVII ყრილობის დელეგატებთან. პირველ ფოტოზე აღბეჭდილია დელეგატთა ერთი ჯგუფი შეხვედრის შემდეგ; დელეგატები მოსკოვში გაფრენის წინ.

ფ. კრიმსაკის ფოტო.

კრემლის გალავანთან

20 თებერვალს მოსკოვში უცნობი ჯარისკაცის საფლავთან ახალ მემორიალურ ბლოკებში საზეიმოდ ჩადეს გმირი ქალაქების მურმანსკისა და სმოლენსკის წმიდათაწმიდა მიწით სავსე კაფსულები, რომლებიც დედაქალაქში ჩამოიტანეს ამ ქალაქების დელეგაციებმა.

კომპლექსის მემორიალურ ბლოკებში უკვე ინახება ლენინგრადის, მინსკის, ვოლგოგრადის, ოდესის, სევასტოპოლის, ნოვოროსიისკის, ქერჩის, ტულისა და გმირი ციხესიმაგრე ბრესტის წმიდათაწმიდა მიწა. ახლა კი აქ ჩამოიტანეს საბჭოთა მეომრების სისხლით მორწყული მიწა, რომელიც აღებულია მურმანსკში იმერპოლარეთის დამცველი მეომრების ძეგლის კვარცხლბეკთან და სმოლენსკის უკვდავების ყორღანთან.

ალექსანდრეს ბაღში შეიკრიბნენ მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები. მემორიალთან ჩამწკრივდა მეომართა სპატიო ყარაული. უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინებით შეამკეს.

მხედრული შრომა — პარტიის ყრილობას

დამთავრდა ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების წვრთნა. საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით მის შედეგებს განმარტავს ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი კ. ა. კოჩეტოვი:

— წვრთნა გაიმართა ჩვენი კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის წინ და მომავალმა დიდმნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა მოვლენამ უშუალო გავლენა მოახდინა მის ხასიათზე. მეომართა მოქმედება გამოიჩჩეოდა სამშობლოს დაცვის წმიდათაწმიდა მოვალეობის შესრულებისათვის დიდი პასუხისმგებლობით.

წვრთნის მიზანი იყო კიდევ უფრო ღრმად დაგვემუშავებინა ამოცანები, რომლებსაც წყვეტენ მეთაურები, შტაბები, პოლიტორგანოები, პარტიული და კომკავშრული ორგანიზაციები სხვადასხვა პირობებში ჯარების ხელმძღვანელობისათვის. ოლქის სარდლობა დიდი მომთხოვნელობის პოზიციებიდან უდგება იმას, რომ ამიერკავკასიელ მეომრებს ვასწავლოთ იმოქმედონ საბრძოლო ვითარებასთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში. მთიანი ადგილმდებარეობა საშუალებას გვაძლევს შევიძინოთ და სრულყოთ ასეთი ჩვევები.

ამიტომაც ყურადღება მიეპყრო ქვეგანაყოფების სამთო მომზადებას, ვხვეწდით სხვადასხვა გვარეობის ჯარების ურთიერთმოქმედებას. წვრთნის დაძაბულობის, ამინდის რთული პირობების მიუხედავად პირადმა შემადგენლობამ გამოამჟღავნა დიდი თავდადება, მეთაურებმა კი — მთ წინაშე დასახული ამოცანების ღრმა გაგება. ამან მთ საშუალება მისცა დიმშუშავებინათ ყველა დასახული საკითხი, მიეღწიათ წვრთნის მიზნისათვის.

ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ

Ვ. Ი. ᲒᲐᲓᲐᲮᲙᲝᲠᲘᲐ,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ᲛᲔᲗᲝᲠᲗᲛᲔᲢᲔᲠᲘ ხუთწლედი რესპუბლიკისათვის იყო დაძაბული შრომის ხუთწლედი, მნიშვნელოვანი ეტაპი საწარმოო ძალების დაჩქარებული განვითარების გზაზე.

რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების დაჩქარება, შესაძლებელი გახდა, უწინარეს ყოვლისა, მანქანათმშენებლობაში, ქიმიურ და კვების მრეწველობაში წარმოების ზრდის გზით. ათვისებულია 35 დასახელების ახალი სამრეწველო პროდუქცია, რომელთა შორის არის 9 ათასი კილოვატი სიმძლავრის ვლ-15 ელმავალი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების დიზელის ავტოსაწევარ-ყველგანმავალი, წყალქვეშა ფრთიანი სწრაფი ხომალდები. მოდერნიზებულია ოთხი ათას ერთეულამდე საწარმოო მოწყობილობა, დადგმულია დაახლოებით 1500 მექანიზებული ხაზი, რობოტ-მანიპულატორი და რიცხვული პროგრამული მართვის ჩარხი.

განუხრელად იზრდება ეკონომიკის აგრარული სექტორის როლი. სახელმწიფოს გეგმის გადაჭარბებით ჩაბარდა დაახლოებით 340 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 270 ათას ტონაზე მეტი ციტრუსი და სხვა დიდძალი სოფლის მეურნეობის პროდუქტი.

უკეთ მუშაობენ მშენებლები, მათ საეკსპლოატაციოდ გადასცეს ახალი სიმძლავრენი ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, საწარმოო გაერთიანებებში „აზოტსა“ და „ქიმბოჭკოში“, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანასა და სხვა საწარმოებში. შესრულდა საცხოვრებელი სახლების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა.

კიდევ უფრო პასუხსაგები ამოცანებია დასახული რესპუბლიკის წინაშე მეთორმეტე ხუთწლედში. 22-25 პროცენტით უნდა გაიზარდოს სამრეწველო პროდუქციის წარმოება. მატების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა მივიღოთ მოწყობილობის რეკონსტრუქციის, შეცვლისა და მოდერნიზაციის გზით.

მეთორმეტე ხუთწლედში კიდევ უფრო გადიდდება მანქანათმშენებლობის წილი. უპირატესად განვითარდება ელექტროტექნიკური და ელექტრონული მრეწველობა, ხელსაწყოთმშენებლობა. აშენდება დიდი ქარხნები — არასტანდარტიზებული მოწყობილობისა და დეტალსაგლინავი ქარხნები ქალაქ მარნეულში.

ბევრი რამ გაკეთდება ელექტროენერგეტიკის განვითარებისათვის. საქართველოში დაიწყება ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა. ამოქმედდება ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატები, დასრულება თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის რეკონსტრუქცია. ყოველივე ეს ქმნის საიმედო ენერგეტიკულ ბაზას, რაც ხელს შეუწყობს არა მარტო საქართველოს, არამედ აგრეთვე აზერბაიჯანისა და სომხეთის ენერგომომარაგების გაუმჯობესებას.

შავი მეტალურგიის განვითარება აგრეთვე რესპუბლიკის ინდუსტრიული ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში განხორციელდება მილსაგლინავი და ფურცელსაგლინავი დგანების რეკონსტრუქცია, ავტომატიზებული იქნება ყველა შრომატევადი პროცესი კოქსქიმიურ, ბრძმედისა და ფოლადსადნობ წარმოებებში.

უკანასკნელ ხანს გაიზარდა ქვეყნის სხვა რეგიონებთან ამერკავკასიის რესპუბლიკების სატრანსპორტო კავშირის გაუმჯობესების საჭიროება. კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზა, რომლის მშენებლობა უკვე დაიწყო, შეამცირებს გზას საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან რუსეთის სფს რესპუბლიკაში.

დამთავრდება კიდევ ერთი რკინიგზის ხაზის გაყვანა: მარაბდა-ახალქალაქისა.

კიდევ უფრო განვითარდება საზღვაო და საპაერო ტრანსპორტი, აგრეთვე სხვა პროგრესული სახეობანი — საბაგირო, მონორელსიანი და პნევმოტრანსპორტი.

სოფლის მეურნეობაში კვლავაც განხორციელდება თითოეული ჰექტარის მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების უზრუნველყოფის მთელი რიგი დიდი ღონისძიებანი. შეივსება ახალი ტექნიკის პარკი, ფართო ფრონტით გაგრძელდება მიწების მელიორირების, მთის ფერდობების ათვისების სამუშაოები, გაიზრდება მინერალური სასუქების მიწოდება.

საქართველოს მშრომელთა დევიზია პარტიის მოთხოვნა — არ დავჯერდეთ მიღწეულს, აუცილებლად ვიაროთ წინ, გადავიდეთ სულ უფრო რთული ამოცანების გადაწყვეტაზე. წარმატებათა საჭინდარი იქნება ხალხთა მეგობრობა ქვეყნის ძალისა და ძლიერების წყარო.

ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ

Ა. ნ. ᲛᲣᲗᲐᲚᲘᲒᲝᲕᲘ,
აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ინდუსტრია, სადაც ორ დღეზე ნაკლებ დროში ახლა იმდენივე სამრეწველო პროდუქცია იწარმოება, რამდენიც მთელი 1920 წლის — საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების წლის განმავლობაში, დინამიკურად განვითარდება ახალ ხუთწლედშიც. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მომავალი წლების ძირითად მიმართულებათა პროექტი ითვალისწინებს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის გამოშვების 25 პროცენტით გადიდებას.

ასეთი ზრდის საიმედო ბაზა უკვე შექმნილია. სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების დროს აზერბაიჯანში დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ეკონომიკის განვითარების, ყამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გაძლიერების გზით. ეროვნული შემოსავალი ყრილობათა შორის განვლილ პერიოდში 26,5 პროცენტით გაიზარდა. ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი მაჩვენებელია საბჭოთა კავშირში.

თანამიმდევრულად ხორციელდება პარტიის კურსი, რომელიც წარმოების ინტენსიფიკაციას ისახავს მიზნად. ხუთ წელიწადში საწარმოებში დაინერგა 33 ათასი ტექნიკური სიახლე. კომპლექსურად მექანიზებული და ავტომატიზებულია თითქმის 300 უბანი, საამქრო, წარმოება. შეიქმნა ათობით საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრი, მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომელთა მეშვეობით დაიხვეწა საწარმოთა ხელმძღვანელობა.

არსებითი ძვრები მოხდა ინდუსტრიის სტრუქტურაში. აზერბაიჯანში, რომელიც ტრადიციულად ითვლებოდა ნავთობისა და გაზის მხარედ, დაჩქარებით განვითარდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგები, მათ შორის — მანქანათმშენებლობა, რომელიც ნავთობისა და გაზის მოსაპოვებელი საბჭოთა მოწყობილობის 70 პროცენტს უშვებს, ელექტროენერგეტიკა, ელექტრონიკა, ქიმია და ნავთობქიმია, რადიოტექნიკა.

რესპუბლიკის ინდუსტრიულ რუკაზე აღინიშნა ისეთი ახალმშენებლობანი, როგორიც არის აზერბაიჯანის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური, შამქორის ჰიდროკვანძი, ღრმა ნიმინჯების ქარხანა, ვვლახ-ბელაქნის რკინიგზა, რომელმაც მთის რაიონების ჯგუფი რესპუბლიკის დედაქალაქს დაუკავშირა, და სხვები. აზერბაიჯანისა და მთელი ამიერკავკასიის ენერგეტიკაში მკვეთრი თვისებრივი ნახტომის გაკეთების შესაძლებლობას მოგვცემს აზერბაიჯანის ატომური ელექტროსადგური, რომლის მშენებლობისათვის მზადება უკვე დაიწყო.

არანაკლებ შთამბეჭდავი ცვლილებანი მოხდა ჩვენი ცხოვრების ბევრ სხვა სფეროშიც.

განა შეეძლებდით ჩვენ საკუთარი თავის ანაბარა იმ უფსკრულის გადალახვას, რომელიც წარსულს გვაშორებს? საბჭოთა აზერბაიჯანის მთელი ისტორიის განმავლობაში არ ყოფილა დღე, რომ რესპუბლიკას არ ეგრძნოს საბჭოთა ხალხების და, კერძოდ, მეზობელი საქართველოს და სომხეთის მშრომელების ძმური თანადგომა.

აზერბაიჯანის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოო გაერთიანების— აზერბაიჯანის ელექტროთერმული მოწყობილობის საწარმოო გაერთიანების შექმნაში თბილისელი ჩარხმშენებლები დაგვეხმარნენ, რომლებმაც უმაღლესი კლასის მოწყობილობა მოგვაწოდეს. ინჟინერი ნოდარ კაპანაძეები აქ ნერგავდა რიცხვული პროგრამული მართვის უახლეს ჩარხებს, ასწავლიდა მეჩარხეებს მათზე მუშაობას. გაერთიანებას ფოლადის ნაგლინს რუსთაველი მეტალურგები აწვდიან, ხოლო ელექტროთერმული ღუმლებით, რომლებიც ამ ლიმონისაგან მზადდება, თბილისის. ზესტაფონისა და საქართველოს სხვა ქალაქების საწარმოები აღიჭურვება. თავიანთი ქართველი კოლეგების საიმედო დამრიგებლები გახდნენ ბაქოელი გეოლოგები, ნავთობის მომპოვებლები და გადამმუშავებლები. ნავთობქიმიკოსები ბაქოს სარეწებზე მოპოვებულ გაზს ყარადაღ-თბილის-ერევან მაგისტრალური გაზსადენით ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების საწარმოები იღებენ. ბაქოს „ცისფერი სათბობი“, რომელიც რუსთაველი მეტალურგების მიერ დამზადებული ადვილად შესადღი მილების მეშვეობით მოიპოვება, სითბოთი ამარაგებს თბილისელთა ოჯახებს.

შეჯიბრება დახმარებას ნიშნავს. ასეთია ბაქოს, თბილისისა და ერევნის, კიროვაბადის, ქუთაისისა და ლენინაკანის, სუმგაითისა და რუსთავის მშრომელთა შრომითი მეტოქეობის დევიზი. მისი კეთილისმყოფელი შედეგები, რაც საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალური ძმობის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების ცხოველმოქმედი ძალის კონკრეტულ გამვლინებად იქცა, განსაკუთრებით საგრძნობია დღეს, სკკპ XXVII ყრილობის წინა პერიოდში. აზერბაიჯანის მშრომელები, რომლებიც ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ ყრილობას, აჩქარებენ საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპს, აუმჯობესებენ მუშაობის ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ, ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲬᲘᲜᲐ

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲡ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ აზერბაიჯანის ვ. ი. ლენინის სახელობის მილსაგლინავი ქარხნის — ქვეყნის ნავთობის მილების უდიდესი მიმწოდებლის ძირითადი საამქროების რეკონსტრუქცია პროექტით, რომელიც საქართველოს მეტალურგიული ქარხნების დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტმა შეიმუშავა. ოცდათი წლის წინათ კი სუმგაითის ამ წამყვანი საწარმოს თვისებას აგრეთვე ხელი შეუწყვეს ქართველმა სპეციალისტებმა — რუსთაველმა მეტალურგებმა. მათი და აზერბაიჯანის ახალგაზრდა ინდუსტრიული ცენტრის მეტალურგების საქმიანი ურთიერთობა ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ განამტკიცა შრომითმა ვახტებმა, რომლებსაც მეფოლადეები მეგობრობის ვახტებს უწოდებენ.

როცა პირველი მარტენის ღუმლები შენდებოდა, სუმგაითში ხშირად ჩადიოდა და ფოლადს აღნობდა სოციალისტური შრომის გმირი ა. ფანცულაია. რუსთავის მარტენის ღუმლებთან ერთმანეთს გამოცდილებასა და ოსტატობას უზიარებდნენ და მასთან ერთად მუშაობდნენ ლენინის ორდენის კავალრები ვ. ბოლდირევი, ჯ. მუსტაფაევი, ფ. ჯაფაროვი. ისინი იდგნენ სოციალისტური შეჯიბრების სათავეებთან, რომელიც შემდეგ განაგრძეს ვ. კალანდაძემ და ა. სულიერმანოვმა, დღეს კი ახალგაზრდა მეფოლადეებმა თ. სპანდერაშვილმა და ი. აბასოვმა.

— თამაზი რუსთავში გავიცანი, — თქვა აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ი. აბასოვმა, — ვიცოდი, რომ იგი შვილი იყო სახელგანთქმული მ. სპანდერაშვილისა, რომელიც ჩვენს საქმეში აღიარებული კლასიკოსი, ვირტუოზი მეფოლადე იყო. მაინტერესებდა, რა თქმა უნდა, როგორ უძღვებოდა ჭაბუკი საქმეს, ჭკონდა თუ არა მამისეული წრთობა. იმაში, რომ მეფოლადეს ოსტატური ხელწერა აქვს, დავრწმუნდი ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავი შრომითი ვახტის დროს. სუმგაითში მაშინ ჩამოვიდნენ რუსთაველი, ტაგანროგელი, დნეპროპეტროვსკელი კოლეგები. საიუბილეო დნობა გრაფიკზე საათ-ნახევრით ადრე დავამთავრეთ, გამოვუშვით ყველაზე მტკიცე მარკის ლითონი. ეს იმის საწინდრად მივიჩნიეთ, რომ ჩვენი მეგობრობაც ფოლადივით მტკიცე იქნება.

ამ შემოქმედებითი შეხვედრის დროს თამაზმა და ია-შარმა ბევრი რამ გაიგეს ერთმანეთზე, ბრიგადების მუშაობაზე. თამაზმა უამბო, მაგალითად, თუ როგორ შეძლეს რუსთაველმა მემარტენეებმა „რეკორდულ ვადაში — სულ ორ კვირაში კაპიტალურად გაერემონტებინთ მეთხუთე მარტენის ღუმელი. დრო იმის მეოხებით მოიგეს, რომ გამოიყენეს მცირე მექანიზაციის საშუალებანი, რიტმულად იღებდნენ მასალებს... მეექვსე ღუმელს, რომელზეც იაშარის ბრიგადა მუშაობს, ოც დღეს არემონტებდნენ. ესეც ნორმაზე სწრაფად მოახერხეს, მაგრამ არც ისე სწრაფად, როგორც რუსთაველელებმა.

უმცროსმა სპანდერაშვილმაც ბევრი რამ შეიძინა სუმგაითში ყოფნის დროს. იმ სიახლეთაგან, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში რომ ინერგება, ბევრი რამ ხომ აზერბაიჯანელი კოლეგების არსებულიდან არის. არაერთხელ დაკავირვებია იგი ქარხნის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა კოლექტივის — იაშარის ბრიგადის მუშაობას, ოსტლანთანაც მას აკავშირებს მთავარი რამ — ძნელი პროფესიის სიყვარული.

მათი ბოლო შეხვედრის დროს ბევრი რამ შეიცვალა ი. აბასოვის ცხოვრებაში. იგი იყო თავისუფლების კუნძულზე, სადაც ადნობდა ფოლადს კუბელ მეფოლადეებთან ერთად, მონაწილეობდა მოსკოვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალში. იაშარს ვაჟი შეეძინა, ახლა მას უკვე სამი შვილი ჰყავს. წინა ხუთწლედი მისი ბრიგადისათვის შრომითი გამარჯვებით აღინიშნა — დაკალების გადაჭარბებით გამოდეს 552 ტონა ლითონი, ხოლო მომდინარე წლის ერთ თვეზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში გეგმის გადამეტებით მიიღეს თითქმის ასი ტონა. ქარხნის ცხოვრებაშიც ბევრი ცვლილებაა. ყრილობის წინ აქ აითვისეს ახალი მტკიცე მარკების ფოლადის გამოშვება, რომლებისგანაც მზადდება სალი საბურღი მილები. მათი სამეედოობის კოეფიციენტი გეოლოგებსა და მენავთობეებს საშუალებას მისცემს დაზვერვა და ბურღვა რამდენიმე კილომეტრ სიღრმეზე აწარმოონ. და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ახალგაზრდა მეფოლადისათვის ის არის, რომ იგი აირჩიეს სკკპ XXVII ყრილობის დელეგატად. ყრილობის მუშაობაში იაშარი მონაწილეობას მიიღებს თავის მეგობარ თამაზთან ერთად, რომელიც ქვეყნის კომუნისტთა ამ ფორუმზე საქართველოს დელეგაციის წარმომადგენელი იქნება.

ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ: ᲢᲔᲛᲞᲘ ᲩᲥᲐᲠᲓᲔᲑᲐ

ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ატომური ელექტროსადგური ემზადება გადაშალოს თავისი შრომითი მატიანის ახალი ფურცელი. დაიწყო ენერგეტიკული გიგანტის მეორე რიგის შენებისადგის მზადება.

ცხრა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სომხეთში ამუშავდა მშვიდობიანი ატომი. ამჟამად ატომური ელექტროსადგურის წილად მოდის მთელი გამომუშავებული ელექტროენერგიის 30 პროცენტი. ამ პერიოდში, იაფი ენერგიის მეოხებით, მწყობრში ჩადგა ახალი სამრეწველო ობიექტები, გაიზარდა სოფლის მეურნეობის ენერგოდაჯეტვრა.

ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის მიზანშეწონილობა ეჭვს აღარ იწვევს. ზოგჯერ მაინც შეიძლება გაიგონოს: „ატომი, რაც უნდა მშვიდობიანი იყოს, მაინც ატომია“. პრაქტიკა აქარწყლებს ამ ეჭვს. დამტკიცებულია, მაგალითად, რომ გაზის ფასშვენი ატეხორობა საერთო გამონფოქვევაში დღე-ღამეში 3500 კიუტია, სომხეთის ატომურ ელექტროსადგურში კი ათასჯერ ნაკლები.

თუ დავაკვირდებით გარემოსთან ატომური სადგურის ურთიერთმოქმედებას, დავრწმუნდებით, რომ იგი დადებით როლსაც კი ასრულებს ეკოლოგიური საკითხების გადაწყვეტაში.

უკვე უახლოეს მომავალში, სომხეთის ატომური ელექტროსადგურის სამლოვარის გადიდების შემდეგ, შესაძლებელი გახდება ყოველწლიურად გარკვეული დროით გამოირთოს რაზდანის ჰიდროენერგეტიკული კასკადი. ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება რესპუბლიკის წყლის რესურსების, და უწინარესად სომხეთის მარგალიტის — სევანის ტბის დაცვისათვის.

ამიერკავკასიის ატომური ენერგეტიკის პირმშო დიდი სეისმურობის პირობებში მშვიდობიანი ატომის გამოყენების თავისებური პოლიგონი გახდა. საუკეთესო მოწყობილობა, დამცავი ავტომატიკა ყოველგვარი მიწის რხევის დროს სრული უშიშროების გარანტიას იძლევა.

უდიდესია სადგურის პოპულარობა. აქ არ არის კადრების დენადობა, მომუშავეთა საშუალო ასაკი კი 25 წელს შეადგენს.

ატომური ელექტროსადგურის გვერდით შენდება და მშვენდება ენერგეტიკოსთა ქალაქი მეწყაორი. იგი უახლესი პროექტების მიხედვით არის აშენებული და სამაგალითო ქალაქთმშენებლობის საუკეთესო ნიშნებს განასახიერებს.

1990 წლის დამლევს სომხეთის ატომური ელექტროსადგური ზარდის თავის სიმძლავრეს. ელექტროენერგიის გამომუშავება, რომელიც ახლა თითქმის 15 მილიარდ კილოვატსაათს შეადგენს, 20 პროცენტით გაიზრდება.

ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲙᲙᲞ XXVII ყრილობას ქუთაისელი ავტომშენებლები უპატაკებენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 20 ათასი უნივერსალური დიზელის ავტომატარებლის წარმოების სიმძლავრეთა ამოქმედებით. მისაბმელად ახალ მანქანას შეუძლია გადაზიდოს 11 ტონამდე ტვირთი და იგი სოფლის მექანიზატორთა უცვლელი თანაშემწე გახდება. ისინი ღირსებისამებრ შეაფასებენ სიახლეს. სატვირთო მანქანას არ აშინებს უგზოობა, რადგან ყველა თვალი წამყვანი აქვს. მრავალსვლიანი გადაცემათა კოლოფი უზრუნველყოფს სიჩქარეთა ფართო დიაპაზონს, რაც შესაძლებლობას იძლევა კაზ-4540 გამოიყენონ ჩქაროსნული სამაგისტრალო ტვირთზიდვისათვისაც, ალოობის დროს ნელმავალ კომბაინთან წყვილად მუშაობისთვისაც. როგორც თავად სატვირთო მანქანის, ისე მისაბმელის ძარა სამივე მხარეს იხსნება, ხოლო დამატებით ბორტები დანაკარგებისაგან იცავენ გადასაზიდ მოსავალს...

მეთერმეტე ხუთწლედი საავტომობილო ქარხნისათვის საწარმოს ძირეული რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების პერიოდად იქცა. მისი მეორე დაბადება გათვალისწინებულია სსრ კავშირის სასურსათო პროგრამით, რომლითაც ქუთაისელებს ახალი მანქანის გამომშვება ეკისრათ. ადგილად როდი ყალიბდებოდა ახალი წარმოება, დღეს ავტომატიკითა და ტელემექანიკით, რობოტებითა და საპროგრამო ჩარხებით რომ არის აღჭურვილი. მაგრამ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მრავალათასიან კოლექტივს ეხმარებოდა მთელი ქვეყანა — სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქის დაახლოებით 80 საწარმო, მათ შორის დარგის ისეთი გიგანტები, როგორიც არის კამის საავტომობილო ქარხანა და ვოლგის საავტომობილო ქარხანა, ხელს უწყობდნენ მას.

— მეთორმეტე ხუთწლედის ძირითად მიმართულებათა პროექტით, — თქვა საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის“ გენერალურმა დირექტორმა თენგიზ გენძეხაძემ, — გათვალისწინებულია მთლიანად დავამთავროთ მთელი საწარმოს რეკონსტრუქცია, ავითვისოთ ახალი სიმძლავრეები. მაგალითად, ხელს უნდა დავამზადოთ რამდენიმე ათასი ახალი მანქანა და მისაბმელი.

ქვეყნის სახალხო მეურნეობაში, უწინარეს ყოვლისა, ამიერკავკასიაში, უკვე მუშაობს 2.200-ზე მეტი ახალი ქუთაისური მანქანა. საცდელ პარტიებად დამზადებულმა ამ მანქანებმა სომხეთისა და მოსკოვის ოლქის, აზერბაიჯანისა და ყუბანის სოფლის მძღოლთა დიდი შეფასება დაიმსახურეს.

ᲩᲐᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲝᲔᲬᲝᲜᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ სახაგრომრეწვის სამტრედიის ჩაის კომბინატმა აითვისა ახალი პროდუქცია—შაქრიანი და ლიმონისწვენიანი ხსნადი ჩაი. მისი პირველი პარტიები გაეგზავნათ საქართველოს, უკრაინის სამრეწველო ცენტრების მშრომელებს. სიახლე მზადდება ფხვნილის სახით, წვრილად დაფასოებული. წელს საწარმო დაამზადებს ოთხას ტონა ასეთ ჩაის.

სამტრედიის კომბინატი ჩაისაგან ნაწარმის დამამზადებელი ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა. მის პროდუქციას — შავ, მწვანე, ფილა და სხვა სახეობის ჩაის — კარგად იცნობენ ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. ამასთან უნდა ვთქვათ, რომ მის გამო არც ერთხელ არ მიუღიათ რეკლამაცია.

— ჩვენს მუშაობაში ვითვალისწინებთ, უწინარეს ყოვლისა, პროდუქციის ხარისხს და მოთხოვნას საკავშირო და საერთაშორისო ბაზრებზე, — გვითხრა კომბინატის დირექტორმა რევაზ გოგიბერიძემ. — ამ პრობლემების გადაჭრაში დიდ დახმარებას გვიწევენ მეცნიერები. ამ დახმარების მეოხებით საწარმოში ვითვისებთ პროდუქციის წარმოების ახალ ტექნოლოგიებს, ვნერგავთ პროგრესულ ნამუშევრებს, თანამედროვე ხაზებს. შარშან, მაგალითად, მეცნიერთა მუშაობის შედეგად გავხსენით წვრილად დაფასოებული შავი ბაიხაო ჩაის საწარმოო ახალი საამქრო, რომლის სიმძლავრე წელიწადში ათი ათასი ტონაა.

კომბინატში შეფუთვის პრობლემაც გადავჭრირთ. იგი ვაჭრობაში სამართლიანად მიაჩნიათ საქონლის „სახედ“. თუ წინათ ჩაის ვუშვებდით უშნო ტარით, ცოტა ხნის წინათ დასახმარებლად მივმართეთ თბილისელ, ერევნელ, როსტოველ კოლეგებს და ახლა ლამაზ საფუთავ მასალას ვიღებთ. ამან მაშინვე მოახდინა გავლენა მოთხოვნაზეც.

სიმძლავრეთა გაფართოება, ახლა კი საწარმოში თერმეტი საამქრო მოქმედებს, მოწყობილობის სრულყოფა, შესაძლებლობას აძლევს კომბინატს ყოველთვის სწორად აიღოს ალღო, არ ჩამორჩეს დროის მოთხოვნებს. კომბინატი ითვისებს ჩაისა და შაქრის ჭარხლისაგან საკმლის საღებრების წარმოებას, მთლიანად გადადის წარმოების უნარჩენო ტექნოლოგიაზე.

დარგში საქმის ვითარების განმარტებისას საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ ენვერ მალაზონიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ სეზონში ჩაის გადამმუშავებელ მრეწველობას ფართო შესაძლებლობანი ესახება იმისათვის, რომ აითვისოს ახალი სიმძლავრეები, გააფართოოს ასორტიმენტი და გაზარდოს ახალ სახეობათა ნაწარმის გამოშვება.

ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲙᲙᲞ XXVII ყრილობის ქუთაისელი ავტომშენებლები უპატაკებენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 20 ათასი უნივერსალური დიზელის ავტომატარებლის წარმოების სიმძლავრეთა ამოქმედებით. მისაბმელად ახალ მანქანას შეუძლია გადაზიდოს 11 ტონამდე ტვირთი და იგი სოფლის მექანიზატორთა უცვლელი თანაშემწე გახდება. ისინი ღირსებისამებრ შეაფასებენ სიახლეს. სატვირთო მანქანას არ აშინებს უგზოობა, რადგან ყველა თვალი წამყვანი აქვს. მრავალსვლიანი გადაცემათა კოლოფი უზრუნველყოფს სიჩქარეთა ფართო დიაპაზონს, რაც შესაძლებლობას იძლევა კაზ-4540 გამოიყენონ ჩქაროსნული სამაგისტრალო ტვირთზიდვისათვისაც, ალოობის დროს ნელმავალ კომბაინთან წყვილად მუშაობისთვისაც. როგორც თავად სატვირთო მანქანის, ისე მისაბმელის ძარა სამივე მხარეს იხსნება, ხოლო დამატებით ბორტები დანაკარგებისაგან იცავენ გადასაზიდ მოსავალს...

მეთერმეტე ხუთწლედი საავტომობილო ქარხნისათვის საწარმოს ძირეული რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების პერიოდად იქცა. მისი მეორე დაბადება გათვალისწინებულია სსრ კავშირის სასურსათო



სურათებზე: ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ. საწარმოო გაერთიანება „ლუსი“. ლუმინესცენციური ნათურების შესამოწმებელ სტენდთანაა ტექნიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორი სილვა ეგიაზარიანი;
ᲐᲚᲐᲕᲔᲠᲓᲘ. სამთო-მეტალურგიული კომბინატის სპილენძის სადნობი საამქრო.
ᲐᲠᲛᲔᲜ-ᲞᲠᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ფოტო.

ᲩᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲜᲘ

ᲐᲛ ორი ადამიანის ცხოვრება მეცნიერებაში ძალზე წაგავს ერთმანეთს. თითოეულმა თავიანი ცხოვრება მუდმივად ვარსკვლავიანი ცის შესწავლას, დააარსა ობსერვატორია, სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკური მეცნიერებათა აკადემიას. ესენი არიან ევგენი ხარაძე და ვიქტორ ამბარცუმიანი — ჩვენი დროის გამოჩენილი მეცნიერები. ორი აკადემიკოსი, ორი პრეზიდენტი, რომელთა თანამეგობრობა მეცნიერებაში ამიერკავკასიის ორი მომძე ხალხის — ქართველებისა და სომხების მეგობრობის სიმბოლოა.

მათი შემოქმედებითი თანამშრომლობის თვალსაჩინო ხორცშესხმა გახდა ორი ასტროფიზიკური ობსერვატორია — აბასთუმნის და ბიურაკანისა. ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ არის ცნობილი ე. ამბარცუმიანისა და ე. ხარაძის სამეცნიერო ცენტრების გამოკვლევები გალაქტიკის პლანეტების აგებულების, დედამიწის ატმოსფეროს სხვადასხვა პრობლემაზე. ყოველწლიურად ობსერვატორიებში რიგრიგობით იმართება კოლოკვიუმები, ეწყობა ერთობლივი დაკვირვებები, მიღებული კოსმოსური ინფორმაციის დამუშავება. აქ იზრდებიან ახალგაზრდა კადრები, ღრმავდება მათი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა.

გამოჩენილი მეცნიერები, რომლებიც სათავეში უდგანან ორ უდიდეს აკადემიურ ცენტრს, დღეს ხელმძღვანელობენ მომძე რესპუბლიკების ნიადაგ მზარდ სამეცნიერო ურთიერთობის ყველა პროცესს. ყოველწლიურად ახალ-ახალი ინსტიტუტები ებმებიან ამ მუშაობაში, წარმართავენ თავიანთ შემოქმედებითს პოტენციალს გამოყენებითი დარგების, ახალი მიმართულებების განვითარებისათვის, რომლებიც სტიმულს აძლევენ მკვეთრ გადასვლას მთელი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ინტენსიფიკაციის და ეფექტიანობის რელსებზე.

ამისათვის საქართველოში უკვე კარგი საფუძველია შექმნილი. მარტო განვლილი ხუთწლედის მანძილზე სახალხო მეურნეობაში დაინერგა ოთხასზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი ნამუშევრის შედეგები, რომელთა ეკონომიკურმა ეფექტმა დაახლოებით 260 მილიონი მანეთი შეადგინა. ეს მაჩვენებელი 2,5-ჯერ აღემატება მეათე ხუთწლედის მაჩვენებელს.

რესპუბლიკის სამეცნიერო პოტენციალმა უდიდეს ძალას მიაღწია. მის შემადგენლობაშია 43 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი 12 ათასი თანამშრომლითურთ.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲘᲠᲝ

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ სუბტროპიკების მეჩაიეები გულდასმით ემზადებიან ახალი ხუთწლედის პირველი წლის მოსავლის მოსაწყვად. ახლად ამოქმედებული ჰიდროტექნიკური ნაგებობებიდან მიღებული რწყვის დამატებითი წყაროების მეოხებით გააფართოეს ძვირფასი კულტურის ფართობები. ახლაც მთავარ ყურადღებას უთმობენ ახალგაზრდა ნარგავებს. პირველი პლანტაციები კი აქ, იხსენებენ ვეტერანები, ქართველ მეჩაიეთა აქტიური ხელშეწყობით გაშენდა.

— პირველი ომის შემდგომ წლებში, როცა დავიწყეთ ჩვენთვის ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის ათვისება, — თქვა საბჭოთა მეურნეობა „შაფაგის“ მუშამ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ხ. ჯასანოვამ, — ვსწავლობდით საქართველოს პლანტაციებსა და საწარმოებში ჩაის ფოთლის კრეფის გამოცდილებას, ეკ

უცხოეთი
ფაქტები • მოვლენები
ერთვნული
ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲓᲐᲫᲐᲮᲘᲚᲘ

საქართველო, აზერბაიჯანი, სომხითი

საქართველოს აკადემიისათვის ტრადიციულ გამოკვლევებთან ერთად მათემატიკის, მექანიკის, ასტროფიზიკის, ბიზიოლოგიის, ალმოსავლეთმცოდნეობის დარგებში ვითარდება ახალი მიმართულებანი — კიბერნეტიკა, მიკრობიოლოგია, გენური ინჟინერია, ელექტრონიკა და სხვები.

— კიდევ უფრო ინტენსიურად უნდა ვიმუშაოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებათა პროექტების მოთხოვნათა შესაბამისად, — თქვა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. ხარაძემ, — ჩვენ გულმოდგინედ ვსწავლობთ მეცნიერების პრაქტიკული უკუგების გაზრდის შესაძლებლობებს. ასეთი მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა ყველა ინსტიტუტში, როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ტექნიკური მიმართულებისა. ბიოკიმიკოსები აქტიურად უწყობენ ხელს მეცნიერული ინფორმაციის ბაზას. შეტალურგები ახალ მასალებს ამუშავებენ ფხვნილთა ტექნოლოგიის საფუძველზე. ელექტროკიმიკოსები სწავლობენ ენერგიის ბატარეებით წყაროების მიღების შესაძლებლობებს ელექტროლიზური მანგანუმორგანგის გამოყენების საფუძველზე. ეს მხოლოდ რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რამდენიმე კონკრეტული მაგალითია.

მისი ყველაზე საგულისხმო ნიშანი გახდა კოსმოსური სივრცის კვლევის შედეგების ფართო გამოყენება საბჭოთა მეურნეობაში, კერძოდ, სოფლის მეურნეობაში, საპირსამაგრი სამუშაოების დროს, ამიერკავკასიის საუნელეტეხილო რკინიგზის დაპროექტებისა და მშენებლობისას. ასეთია ჩეში და ვიქტორ ამბარცუმიანის სამქმენი— ხან მიწისა და ხან — ცისა.

ᲬᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐ ᲗᲮᲔᲕᲐᲓᲘ ᲙᲠᲘᲡᲢᲐᲚᲘ

ᲑᲐᲙᲝᲡ ნავთობგადასამუშავებელი საწარმოს ლაბორატორიაში 15-20 წუთში ექმნება სრული წარმოდგენა წარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე. ამას ალწევენ აზერბაიჯანელი და ქართველი მეცნიერების მიერ ერთობლივად შემუშავებული საშუალებებითა და მეთოდიკებით. მათ შეიმუშავეს ქიმიური შენაერთების შედგენილობის ანალიზის ექსპრეს-მეთოდები. ისინი ემყარება კაპილარული ქრომატოგრაფიის — თავისებური ნაკადგენილი მიკროცხრილის გამოყენებას. მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა დიდი სიზუსტით გაანალიზდეს ორგანული წარმოშობის ყოველგვარი ქიმიური მიმართულების, მაგალითად, ნავთობის, პოლიმერული კომპოზიციების, სამედიცინო პრეპარატებისა და სასარფიუმერიო პროდუქციის შემადგენლობა. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ანალიზის ამ მეთოდებს იყენებენ მთელი რიგი დარგებისა, მაგალითად დიაბეტის დიაგნოსტიკაში.

მეცნიერი ქიმიკოსების მიერ შემოთავაზებული მეთოდის უნივერსალურობა საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა შედეგია იმ მასალების სინთეზის დარგში, რომლებიც უნიკალური თვისებები აქვთ შერჩევით შთანთქან, თავისთავში შეინახონ ან თავისუფლად გაატარონ უწვრილეს კაპილარებში სხვადასხვაგვარი ქიმიური ნივთიერებანი. ამ პრინციპზე ახლა დაფუძნებულია ქრომატოგრაფიული ხელსაწყოების — თხევადი საშუალებების ანალიზატორების მთელი გამის მუშაობა. ერთ-ერთი ასეთი ხელსაწყო შეიმუშავა აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ნავთობქიმიური პროცესების ინსტიტუტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ორგანული ქიმიის ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფმა, რამაც მნიშვნელოვნად გაიფართოვა თხევადი კრისტალების თვისებების გამოყენების მეთოდის შესაძლებლობანი. მეცნიერები დაინტერესდნენ ამ ნივთიერებათა თვისებით გაყონ ორგანული წარმოშობის ისეთი შენაერთები, რომლებსაც ახლი ახლო, თითქმის განურჩეველი თვისებები აქვთ; ასევე დაიწყო თხევადი კრისტალების გამოყენება ქვეყნის ნავთობქიმიური და ნავთობგადამშუშავებელი საწარმოების მიერ გამოშვებული სხვადასხვა პროდუქციის გასაანალიზებლად. გამოირკვა, რომ თხევადი კრისტალები, რომლებსაც იყენებენ კაპილარულ ქრომატოგრაფიაში, მსოფლიოში ჯერჯერობით ერთადერთი საშუალება აღმოჩნდა ნავთობპროდუქტების ყველაზე რთული შენაერთების შემადგენელ ნაწილებად დაყოფისათვის. აზერბაიჯანის სპეციალისტები იყენებენ პროდუქციის ხარისხის ანალიზის კვლევის ასეთ მეთოდს.

აზერბაიჯანელ და ქართველ მეცნიერთა ერთობლივი კვლევა გახდა თემა მონოგრაფიისა „თხევადი კრისტალები კაპილარულ ქრომატოგრაფიაში“, რომელიც გამოუშვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებამ“.

ᲔᲜᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘᲐ ᲩᲔᲛᲘ

აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ნასიმის სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლის ფ. ალიევასათვის ქართული ენაც მშობლიურია. აზერბაიჯანულ-ქართული ლექსიკონი, რომელზეც გურჯაანის ოფელ კაჯრეთის მკვიდრი მუშაობს თბილისელ კოლეგასთან ვ. ჯანგიძესთან ერთად, სპეციალისტებისა და ყველა მსურველისათვის სოლიდური ცნობარი გახდება. წინასწარი გამოანგარიშებით, მასში შევა ოცი ათასამდე ყველაზე ხმარებული სიტყვა და გამოთქმა. მოძმე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების ერთობლივი მუშაობის შედეგით გათვალისწინებულია აგრეთვე ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონის შექმნა.

— მეგობრები მეხუმრებიან: ორი ენა შენთვის მშობლიურია, ორივეზე კი აქცენტით ლაპარაკობ. — ფატიმა ბეგესაუბრება ქართულად, ოდნავ შესამჩნევი ბაქოური აქცენტით: ხუთი წელია, რაც იგი ოჯახთან ერთად დამკვიდრდა აზერბაიჯანის დედაქალაქში.

— დავამთავრე ქართული ფილოლოგიის განყოფილება, — გვიამბობს იგი, — ვასწავლიდი სკოლაში, ერთდროულად ვთანამშრომლობდი რაიონულ გაზეთში. ალბათ, როგორც ბევრი სხვაც, ახალგაზრდობაში გატაცებული ვიყავი ლექსებით, მოვსინჯე ძალები თარგმანშიც.

პოეტმა და მთარგმნელმა ლ. ერაძემ ღირსეულად შეაფასა ისინი და ურჩია ქალიშვილს სერიოზულად მოეკიდა მათთვის ხელი.

— თუმცა მუშაობა, რომელსაც ინსტიტუტში ვასრულებ, დაშორებულია ლექსების თხზვისაგან, — თქვა შემდეგ ფატიმამ, — მაგრამ მე იგი პასუხსაგებ და მნიშვნელოვან საქმედ მიმაჩნია. როგორც ცნობილია, ადამიანებს ცხოვრება უადვილდებათ, როცა მათ ერთმანეთის ესმით. აქ კი ვერაფერს გახდები, თუ ზუსტ სიტყვას ვერ მიაგნებ, აზრს კარგად არ გადმოსცემ. სწავლის წლებში, მაგალითად, მე ძალიან მაკლდა ასეთი ლექსიკონის ქონლობა. ჩვენი ხალხების ურთიერთობას კი ღრმად აქვს ფესვები გადგმული და წლითიწლობით იგი ფართოვდება, სულ უფრო მეტ დარგებს მოიცავს...

— ლექსებს აღარ წერთ?

— უნდა ვაღიარო, რომ შემოქმედებისათვის დრო აღარ მრჩება. ლექსიკონზე მუშაობის პარალელურად ვწერ დისერტაციას. იგი ეძღვნება თურქიზმებს ქართულ შუასაუკუნეების ძეგლებში. თემა წმინდა ლინგვისტური არ არის. ენა ხომ სარკესავით ასახავს ისტორიულ-ეკონომიკური ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტს.

„...ᲚᲕᲘᲫᲚᲘ ᲫᲛᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ!“

ᲕᲐᲮᲐᲜ ტერიანის უკვდავი პოეტური სიტყვები აღიერდა ქართულ ენაზე. სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოუშვა კრებული „გული — ყვავილი“, რომელიც ჰოვანეს თუმანიანის სახელობის პრემიის ლაურეატმა, ქართველმა ლირიკოსმა შორის ფოცხიშვილმა თარგმნა.

ვახან ტერიანის საუკეთესო ქმნილებანი /დიდი ხანია ქართველ მკითხველთა კანონიერი კუთვნილებაა, რომლებსაც პოეტი თანაბრად მიაჩნიათ საქართველოს შვილად, სადაც იგი დაიბადა და საიდანაც დაიწყო მისი გზა პოეტური ოსტატობის მწვერვალებისაკენ. უკვე ექვს ათეული წელზე მეტია ტერიანი, რომელიც ქართულ მიწაში განისვენებს, ცხოვრობს თავისი მკითხველების გონებასა და გულში, და პოეტური ანდერძივით, მღელვარედ გაისმის მისი სიტყვები:

„როს დავიღლები, გევედრებით, ღმერთი იწამეთ,
ჩემს ძველ განძაში მომაყარეთ გულზე მიწა მე!“

ქართველის წიგნის თაროზე მშობლიური ლიტერატურის ნაწარმოებების გვერდით დევს საიათნოვას და რაფის, აბოვიანისა და სუნდუკიანის, შირვანზადესა და თუმანიანის, სააკიანისა და აკოფიანის წიგნები, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოუშვეს საქართველოს გამომცემლობებმა. სიტყვის ამ დიდოსტატებს აქ განსაკუთრებით ეკიდებიან: ბევრი მათგანისათვის ხომ კურთხეული ქართული მიწა გახდა შემოქმედების აკვანი, მჭიდროდ დაუკავშირეს რა მას ბედი, ისინი აქ ქმნიდნენ თავიანთ დაწარმოებებს, იღვწოდნენ როგორც ხალხთა მეგობრობის მხურვალე დამცველები, საძირკველს უყრიდნენ ახალ მრავალეროვნულ საბჭოთა ლიტერატურას. გავიხსენოთ, რა ძმური სიყვარული აკავშირებდათ აკაკი წერეთელსა და გაბრიელ სუნდუკიანს, ჰოვანეს თუმანიანსა და მის ქართველ თანამოკალმეებს. „სიყვარული, რომელსაც საქართველოსადმი განვიცდიდი, — ჩემთვის სიხარულის დაუშრეტელი წყარო იყო“.

დიდი ოქტომბერი დაეხმარა ორივე მოძმე ლიტერატურას გამოსულიყვნენ ფართო სარბიელზე — ნამდვილად თავისუფალი შემოქმედების სარბიელზე, თავიანთი ღირსეული წვლილი შეეტანათ თანამედროვე ზოგადკაცობრიულ კულტურაში.

სომხური და ქართული ლიტერატურების მზარდ ურთიერთობებს საქართველოს სახალხო პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა, კარგად თქვა, რომ ცისარტყელასავით ანათებს ჩვენი ხალხების მეგობრობა.

საქართველოში დიდი ტირაჟებით გამოიცა მასშტაბური რომანი „ვარდანანქი“ დერენეკ დემირჩიანისა, რომელმაც ამ ისტორიულ ეპოპეაში კიდევ ერთხელ განაცხადა თავისი ერთგული სიყვარული ქართველი ხალხისადმი. ქართველი მკითხველებისათვის ახლობელია ნამდვილი პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის ეღიშე ჩარენცის ლექსები. მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე რესპუბლიკის გამომცემლობებმა გამოუშვეს ქართულ ენაზე თარგმნილი პარეირ სევაკის ლექსების კრებული, ვარდგეს პეტროსიანის „სომხური ესკიზები“, ჰოვანეს შირაზის „სევანის ვარსკვლავები,“ გრანტ მათევოსიანის მოთხრობების კრებული.

ახლა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარ სარდაქციო კოლეგიაში ემზადებიან სკკპ XXVII ყრილობისადმი ძიძღვნილი სომხური პოეზიისა და პროზის ანთოლოგიის გამოცემისათვის.

პოპულარულია რესპუბლიკაში თბილისში მუდმივად მცხოვრებ სომეხ მწერალთა წიგნებიც.

თბილისელ სომეხ ლიტერატორთა ერთ-ერთ უდიდ მიღწევად შეგვიძლია მივიჩნიოთ შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის — „ვეფხისტყაოსნის“ სომხური თარგმანი, რომელიც შეასრულა ოვანეს კარაიანმა.

ᲒᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲣᲚᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲖᲐ

აზერბაიჯანის სახალხო პოეტის, სოციალისტური შრომის გმირის სულეიმან რუსტამის სამუშაო მაგიდაზეა ქართველი ავტორების ლექსების წიგნები.

— კვლავ ვკითხულობ მათ, და თითქოს მესმის ბევრი ჩემი მეგობრის ხმები — იმათიც, ვინც ცოცხალი აღარ არის, და იმათიც, ვისთანაც, საბედნიეროდ, ისევ მაქვს ურთიერთობა. — თქვა მან. — მაგრამ მხოლოდ ქართველ თანამოკალმეთა ნაწარმოებების კვლავ გადაკითხვის სურვილმა როდი მაიძულა შევხებოდი მათი პოეზიის ცხოველმყოფელ წყაროს.

აზერბაიჯანის ლიტერატურული საამქროს უხუცესმა დაიწყო მომმე რესპუბლიკის ოსტატთა ახალი ნაწარმოებების თარგმნა. ეს ერთ-ერთი სფეროა მისი შემოქმედებითი მოღვაწეობისა, რომელიც უკვე ექვსი ათწლეულია გრძელდება. საქართველოს, მის ხალხს, ლამაზ ბუნებას და თავისთავად კულტურას ეძღვნება თვით ს. რუსტამის ნაწარმოებთა ბევრი პოეტური ფურცელი.

— ჯერ კიდევ ომის წინ ს. ვურლუნთან და მ. რაგიმთან ერთად წლად მხვდა პატივი აზერბაიჯანულ ენაზე მეთარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, — თქვა ს. რუსტამმა. — მსოფლიო კულტურის ამ ძეგლზე მუშაობამ გამამდიდრა როგორც პროფესიული, ისე ადამიანური თვალსაზრისითაც. ისევე, როგორც მრავალ ათწლეულის მანძილზე მეგობრულმა კონტაქტებმა გ. ტაბიძესთან, გ. ლეონიძესთან, ს. ჩიქოვანთან, კ. კალაძესთან...



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲩᲐᲠᲮᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ“ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲩᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘ ᲖᲔᲘᲜᲙᲐᲚᲘ Ზ. ᲗᲐᲨᲐᲜᲓᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲘᲒᲘ ᲡᲙᲙᲐ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲬᲚᲔᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲣᲠᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ 120-125 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲐᲜ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲔᲡᲘ: Ზ. ᲗᲐᲨᲐᲜᲓᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.
Ა. ᲡᲐᲐᲙᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

აზერბაიჯანელი და ქართველი კოლეგების თარგმანები ეხმარება ჩვენ ხალხებს უკეთ გაუგონ ერთმანეთს. რესპუბლიკურ გამომცემლობათა ყოველწლიურ გეგმებში მუდამ შეაქვთ ქართველ ლიტერატორთა ნაწარმოებები ახლა, მაგალითად, გამოსაცემად ამზადებენ ქართული პროზის ანთოლოგიას“, „ქართულ ზღაპრებს“, სერიით „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“ კვლავ გამოვა შ. რუსთაველის შედევრი, ნ. დუმბაძის შემოქმედების მოყვარულებს ელით შეხვედრა წიგნთან „მე ვხედავ მზეს“. სხვათა შორის, უკვე მრავალი წელია ჩვენს რესპუბლიკაში იგი იმ ავტორთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებსაც ყველაზე მეტად კითხულობენ.

ჩვენი რესპუბლიკის კულტურის ბევრ ოსტატს დამყარებული აქვს შემოქმედებითი კონტაქტები ქართველ მწერლებთან, მხატვრებთან, კომპოზიტორებთან, — თქვა შემდეგ ს. რუსტამმა. თეატრის დიდი მოყვარული ვარ და არასოდეს ვტოვებ თბილისის სახელგანთქმული კოლექტივების — შოთა რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების, მ. თუმანიშვილის ნიჭიერი მოწაფეების გასტროლებს. აქ ბევრი რამ შეიძლება ისწავლოს კაცმა!

ერთი სიტყვით, ურთიერთობა არის და გრძელდება, მისი სიმბოლო კი უკვე მრავალი წელია არის ლეგენდარული წითელი ხიდი. ამ ხიდზე მოძრაობა ორმხრივია. იგი აკავშირებს მომმე რესპუბლიკების კულტურის ოსტატებსაც, როგორც შემოქმედებითი კონტაქტები წლითიწლობით სულ უფრო მტკიცდება, ხოლო, როგორც ცნობილია, გულიდან გულისაკენ მიმავალი გზა ყველაზე ახლო გზაა.

ᲛᲗᲘᲡ ᲬᲘᲐᲚᲨᲘ

ᲑᲐᲘᲮᲜᲜᲐ მატარებლების მოძრაობა იჯევან-რაზდანის რკინიგზის მაგისტრალზე. შესრულდა ეკონომიკური და სოციალური პროგრამის მეთერთმეტე ხუთწლედისათვის დასახული დიდნაშენიანი ოვანეს პუნქტი.

სომხეთის ცხოვრებაში ამ მნიშვნელოვან მოვლენას განმარტავს „სომხტრანსმშენის“ ტრესტის მმართველი ე. ავეტისოვი.

— სომხეთის სსრ ეკონომიკური პოტენციალის ზრდა და რესპუბლიკის პერსპექტიული ამოცანების მაშტაბურობა მოითხოვდნენ იჯევან-რაზდანის ახალი ელექტრიფიცირებული რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობას. იგი აქსტაფა-იჯევანის ხაზის გაგრძელებაა. საეკსპლოატაციოდ მისი გადაცემის შემდეგ სადგურ აქსტაფიდან შესაძლებელი იქნება პირდაპირ-ერევანში ჩასვლა, ამასთან რკინიგზების არსებულ ქსელთან შედარებით მცირდება მანძილი საქართველოსა და აზერბაიჯანის დედაქალაქებამდე.

რკინიგზის ხაზის ძირითადი დანიშნულებაა უზრუნველყოს რესპუბლიკა სსრ კავშირის ცენტრალური რაიონებიდან ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანით, ტვირთნაკადში ერევნისა და რაზდანის დიდი სამრეწველო რაიონების ჩაბმა.

ტრასა ძნელად მისადგომ მთებში გადის. სხვათა შორის, ურთულესი საინჟინრო ნაგებობებით ესოდენ მდიდარ მშენებლობას ბადალი არა ჰყავს.

უმძიმეს პირობებში გაყვანილია 16 კილომეტრი გვირაბები, აშენდა 7,5 კილომეტრი საყრდენი კედლები, 20 დიდი ხიდი და ვიადუკი.

რკინიგზის მშენებლობაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის ბევრი მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენლები. ნამდვილი ვაჟკაცობა გამოიჩინეს კიევიდან, მინსკიდან, თბილისიდან, ტაშკენტიდან ჩამოსულ გვირაბგამყვანთა ბრიგადებმა. რთულ გეოლოგიურ პირობებში ინტერნაციონალურ ბრიგადებს მთებში გაჰყავდათ იჯევანის, ახაკახლოს, დილიჟანის და ბოლოს მეგრაძორის გვირაბები. ეს უკანასკნელი ჩვენს ქვეყანაში ყველაზე გრძელი მოქმედი გვირაბია — მისი სიგრძე 8,3 კილომეტრია.

„ᲮᲐᲛᲑ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔ ᲛᲝᲧᲕᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲕᲘᲠᲗᲐ
ᲐᲠ ᲓᲐᲛᲠᲘᲓᲐᲓ,
ᲒᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲖᲐᲓ
ᲓᲐ ᲮᲘᲓᲐᲓ“, —

წერდა დიდი შოთა რუსთაველი. იცავენ რა ძმობისა და მეგობრობის ამ კანონს, ამიერკავკასიის ხალხებმა საუკუნეების მანძილზე გამოატარეს ერთმანეთის ერთგულება და სიყვარული, კიდევ უფრო განვითარეს და გააღრმავეს ეს გრძნობები ვ. ი. ლენინის უძლეველი დროშით. სოციალისტური მშენებლობის წლებში. აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ხალხების ყოველი წარმატება ერთობლივი წარმატებაა, ყოველი გამარჯვების სიხარული საერთო სიხარულია, პრობლემებიც ყველასათვის ერთია. ასეთი კანონით ცხოვრობენ და მუშაობენ ისინი. და, უპატაკებენ რა სკკპ XXVII ყრილობას მიღწეულ წარმატებებს, ისინი მზად არიან ერთად განახორციელონ პარტიის მიერ პერსპექტივისათვის დასახული აღმშენებლობის დიადი პროგრამა.

ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲔᲡ ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ, ᲐᲖᲔᲠᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲛᲔᲜᲘᲐᲠᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲛᲐ.



**ᲑᲐᲙᲝᲡ ᲬᲧᲐᲚᲡᲠᲛᲐ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲝ ᲡᲐᲫᲘᲠᲙᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲔᲜᲐᲕᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲡᲐᲛᲘ ᲞᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲪᲘᲐᲗ. ᲐᲮᲚ ᲐᲛᲝᲛᲭᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲜᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲯᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲐ. ᲛᲐᲡᲨᲘ ᲨᲔᲕᲐ ᲝᲪᲘ ᲐᲗᲐᲡᲘᲐᲛᲓᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲮᲨᲘᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲐ. ᲛᲝᲛᲫᲘᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

დიდი ილიასადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონკურსი

საქართველოს საჭადრაკო ეტიუდისტების მაღალი კლასი და სპორტულ-შემოქმედებითი წარმატებები საყოველთაოდ არის ცნობილი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საჭადრაკო პოეზიის ამ ჟანრის წარმომადგენლებში ყოველთვის საგანგებოდ აღნიშნავენ ქართული კულტურის დიდ საზეიმო მოვლენებს. კერძოდ, საჭადრაკო კომპოზიციის ისტორიაში უკვე შესულია შოთა რუსთაველის 800 წლისთავისადმი და ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონკურსები, ვინაიდან ამ კონკურსებმა არსებითი წვლილი შეიტანეს საეტიუდო ხელოვნების განვითარებაში.

ამჯერად გაზეთი „კომუნისტი“ აცხადებს საერთაშორისო კონკურსს ეტიუდების შედგენაში, რომელიც ეძღვნება დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ჭადრაკის ტრფიალის ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის იუბილეს.

მონაწილეებმა გამოუქვეყნებელი (ორიგინალური) ეტიუდები უნდა გამოგზავნონ დიაგრამებზე გამოსახული, დაწერილებითი ამოხსნით (2-2 ცალად) შემდეგი მისამართით: 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას, კონვერტზე აღნიშნონ: „კონკურსი „საიუბილეო — 150“.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია:

პირველი პრიზი — 400 მან.,
მეორე პრიზი — 300 მან.,
მესამე პრიზი — 200 მან.,
მეოთხე პრიზი — 150 მან.,
მეხუთე პრიზი — 100 მან.

სპეციალური პრიზები:

მათ შორის — კლასიკური მემკვიდრეობის შემოქმედებითი დამუშავებისათვის და საუკეთესო ხუთფიგურიანი ეტიუდებისათვის;

სპატიო და საქები შეფასებები.

კონკურსის მსაჯია საერთაშორისო არბიტრი ვ. ნეიძე (თბილისი).

საკონკურსო მასალების გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა 1986 წლის 31 დეკემბერი.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

ჩვენი ფოსტალიონი. ზ. დათუაშვილის ფოტო.

იქ, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ

საბჭო: რწმუნებები და პრაქტიკა

სცადეთ დაძაბოთ მეხსიერება და გიხსენოთ, უკანასკნელად როდის მოხაწილეობდით თქვენი სახლის მცხოვრებთა კრებაში და გიმართია კი იგი საერთოდ? და თუ ასეთი რამ მაინც მოხდა, რა საკითხები განიხილეთ? ვშიშობ, გულდაგულ პასუხს ვერ მივიღებ, რაკი ზრუნვა ჩვენს სახლზე, ეზოზე, თუკი არსებობს, სულგრძელად დადავულოცეთ საბინაო-საექსპლოატაციო კანტორას. საამო გამონაკლისი მხოლოდ წესს ადასტურებს. წესი კი ის არის, რომ სამუშაოდან შინ დაბრუნებულნი გავიხდით კოსტიუმს და თითქმის ყოველგვარ პასუხისმგებლობასაც ვიხსნით ყოველივე იმისთვის, რაც მშობლიური ბინის კარს მიღმა ხდება.

სამუშაოზე, უშუალოდ წამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების გარდა, აქტიურად ვმონაწილეობთ ღონისძიებათა შემუშავებაშიც, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის საყოფიერების საერთო ზრდას ანდა დისციპლინის განმტკიცებას, დაკავებული ვართ საამქროს გამწვანებით, ვაღწევთ საქარხნო სასადილოში კერძების ასორტიმენტის გაფართოებას და ა. შ. მაშ, რატომ არის ესოდენ მაღალი მოქალაქეობრივი აქტიურობა „სამუშაო ადგილზე“ და ასეთი მომხმარებლური პოზიცია „საცხოვრებელ ადგილზე“? მიზეზი უწინარესად ის გახლავთ, რომ კოლექტივში ადამიანს შეუძლია განახორციელოს თავისი მოქალაქეობრივი უფლებები სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში — იქნება ეს პარტიული და პროფკავშირული, თუ სპორტკლუბი და ბრიგადის საბჭო. გარა შეუძლია სახლის კომიტეტს, ქუჩის კომიტეტს, ცოლთა საბჭოს, ამხანაგურ სასამართლოს შეედარონ მათ თავიანთი გავლენით? არადა არა, და ეს გულახდილად უნდა ვაღიარონ. ისინი, როგორც წესი, დაქსაქსულები არიან. ბევრს მათს საქმიანობასა და ზოგჯერ თვით არსებობის თაობაზეც კი საკმაოდ ზერელე წარმოდგენა აქვს.

არადა თანამედროვე სახლი — ეს უკვე კარგა ხანია არავითარი ციხე-სიმაგრე არ არის. და მას სავსებით შეუძლია იქცეს პიროვნების განვითარების ასპარეზად, რომელიც სულაც არ არის ნაკლებად ნოყიერი, ვიდრე შრომითი კოლექტივის ასპარეზია. მაგრამ ამისათვის საჭიროა მცხოვრებთა თვითმმართველობაში, იმ პრობლემების გადაჭრაში ჩაბმის აქტიური ფორმები, რომლებიც საჭიროებენ ერთობლივ გადაწყვეტილებებს, და ერთობლივ მონაწილეობას დაწყებული საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის, მაღაზიის, ტრანსპორტის მუშაობით, ბავშვებისა და თვით მოზრდილთა აღზრდით დამთავრებული.

ვაზისუბანი თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მიკრორაიონია, თუმცა მისმა მოსახლეობამ უკვე ორმოცი ათასს გადააჭარბა. იგი ტრიალ ადგილზე წამომართა. თვითრი მრავალსართულიანი. შენობები ტერასებად აღმართნენ და თბილისის აეროპორტის საფრენი ველიდან ისინი, განსაკუთრებით ღილის ბინდბურდში, რაღაცნაირ ურბანისტულ მირაჟად აღიქმება. მირაჟი იფანტება, როცა კვარტალებს გარს შემოუვლი. ტიპიური თანამედროვე დაგეგმარება: რამდენიმე სახლი ქმნის ფართო, როგორც წესი „შიშველ“ ეზოს: ხეებმა ჯერ გაზრდა ვერ მოასწრეს, გაზოები, პატარა ბაღები და სხვა მწვანე მორთულობა ბევრი როდია, მაგრამ 10-ა კორპუსის ქვიან უდაბნოში ოაზისივით გამოირჩევა.

მისი მცხოვრებები არ დაელოდნენ არც ბუნებისა და არც საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის წყალობას და თვითონვე ააგეს შესანიშნავი სპორტმოედანი, სახლის გარშემო ხეები ჩაყარეს და კლუბიც კი ააგეს ღია ცისქვეშ. უფრო სწრაფად, ვაზის თაღარის ქვეშ. თუ 10-ა კორპუსის კეთილშობყობა მხოლოდ და მხოლოდ მისი მობინადრეების ნახელავია, საჭიდაო დარბაზის შექმნაში მთელი მიკრორაიონი მონაწილეობდა. მიწისა და ხარაზურისაგან გაწმინდეს ერთ-ერთი შენობის სარდაფი, კალატოზობდნენ, ღებავდნენ და ახლა დარბაზში, რომლის შეფობა საზოგადოება „დინამომ“ აიღო, 160 ბიჭუნა იწვრთნება.

ასეთები გვინახავსო, მხრებს აიჩეჩავს რომელიმე მკითხველი და ათობით მაგალითს დაასახელებს, იგივე და უკეთესადაც როგორ გააკეთეს მცხოვრებლებმა. ყველაფერი სწორია. მაგრამ განსხვავებაც არის. ჩვეულებრივად, ასეთი საქმე ადგილიდან იძვრება თუ გამოჩნდა წამომწყები, ენთუზიასტი, რომელმაც შეკრიბა ხალხი, დაარწმუნა და დარაზმა. ამ უკანასკნელ სიტყვას მსხვილი ხაზით გამოვყოფ. ყოველნაირ თვითმოქმედებაში, აქვე დავძენ, ისევე როგორც საერთოდ ადამიანთა მოღვაწეობაში, დამრაზმავი საწყისი საფუძველთა საფუძველია, ყოველივეს თავი და თავია. დაურაზმავად ყოველგვარი თვითმოქმედება — იქნება ეს „სამუშაო ადგილზე“ ანდა „საცხოვრებელ ადგილზე“ — განწირულია სპორადული ამოხეთქვისათვის, რომელიც ჩვეულებრივად ისევე სწრაფად ჩაქრება ხოლმე, როგორც ღვივდება. ვაზისუბანში, ისევე როგორც თბილისის დანარჩენ 32 მიკრორაიონში, წამომწყებები და ორგანიზატორები არიან არა მესამე სადარბაზოს ძია ნიკო ანდა მეოთხე კორპუსის ანა თევდორეს ასული, არამედ საზოგადოებრივი საბჭოები. ერთმანეთში მათ მიკროსაბჭოებს უწოდებენ.

როგორც თავად სახელწოდება მეტყველებს, ეს მოსახლეობის თვითმმართველობის ორგანოებია. მათ მცხოვრებლები ირჩევენ კრებებზე ღია კენჭისყრით, ორნახევარი წლით. საბჭოს წევრები არიან მიკრორაიონის ტერიტორიის მცხოვრები მუშები, მოსამსახურეები, დიასახლისები, პენსიონერები. და მაინც მოსამსახურეები სჭარბობენ. საბჭოს შედგენს 40-60 კაცი. იკრებებიან ჩვეულებრივად კვარტალში ერთხელ, ხოლო შუდმივად მოქმედებს ათკაციანი სამუშაო ორგანო. თავმჯდომარე და მდივანი აღმასკომის შტატის მუშაკები არიან, მაგრამ ხელფასს იღებენ ყოველგან დაწესებული და მასობრივი მუშაობისათვის გათვალისწინებული საბინაო ქირის ანარიცხების ხარჯზე.

კომიტეტი კოორდინაციას უწევს სექციების მუშაობას, რომლებიც ჩვეულებრივად ხუთი-ექვსია; კომუნალური მეურნეობის, კეთილშობყობისა და ბუნების დაცვის; ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების; სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის; განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობაში მუშაობისა. როგორც შენიშნეთ, ერთობ ემსგავსება აღმასკომის სტრუქტურას. და ეს ბუნებრივია, რადგან არსებითად მიკროსაბჭოებმა თავიანთ მცირე ტერიტორიაზე თავად იკისრეს აღმასკომის ზოგიერთი ფუნქცია, როცა მოსახლეობასთან ხელისუფლების ორგანოების დამაკავშირებელ რგოლად იქცნენ.

— დიდი ქალაქის პირობებში, — ამბობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვიქტორია მოსეს ასული სირაძე, — რაიაღმასკომებს ფიზიკურად ძალა აღარ შესწევთ ყველა საქმეს ჩასწვდნენ საცხოვრებლების მიხედვით. სწორედ მათი დახმარებისათვის არიან მოწოდებული მიკროსაბჭოები: ეხმარებიან განაწესის შესრულებაში, საჩივრების გარჩევაში, თვითონვე აყენებენ ადგილობრივი ორგანოების წინაშე საარსებო საკითხებს.

მიკროსაბჭოებმა თავად იკისრეს ყოველგვარი „წვრილმანი“, რაც ხოგჯერ საკმაოდ გვიჭირავდა გვიწამლავს ყოფას. მაგალითად, საფოსტო ყუთები. თითქოსდა უბრალო საქმეა. მაგრამ წერილს ადგილზე ვერ ჩაუგდებ, ფოსტალიონს ეზოში ვერ შეუვლ, ბინებიდან ბინებამდე ვერ ჩაიტანს. ეს ამ ოცდაათ-ოცდაათ ბინიანი ეზოებისა. ეს ამ ასეულ ბინიანი ეზოებისა. ეს ამ ათასობით ბინიანი ეზოებისა. ეს ამ ასეულ ბინიანი ეზოებისა. ეს ამ ოცეულ ბინიანი ეზოებისა. ეს ამ ეზოებისა, ეს ამ ეზოებისა, ეს ამ ეზოებისა,